საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 254/17

30 მარტი, 2019 წელი

საქართველოს კანონის პროექტები: „სოციალური მეწარმეობის შესახებ", „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N07-3/236; 01.11.2018)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრები: მ. ქვარაია, პ. მხეიძე, გ. გულორდავა, კ. ლურსმანაშვილი, ზ. ქუცნაშვილი, რ. იონათამიშვილი, გ. მოსიძე, გ. კოპაძე, დ. მხეიძე, ც. ზურაბიანი	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და ლევან ალაფიშვილი
ინიციატორი	*ავტორი*

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

01. 11. 2018.	წამყვან კომიტეტზე - 25.04 - 27.05.	30.04. - 31.05.
შემოსვლის თარიღი	*საკომიტეტო მოსმენის საჯაროდ თარიღი*	*პლენარულ სხდომაზე განხილვის საჯაროდ თარიღი*

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი;
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი;
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საჭიროებულია

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№254/17

2019 წელი, 30 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სოციალური მეწარმეობის შესახებ", „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N07-3/236; 01.11.2018) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) 2019 წლის 25 აპრილიდან გაუგრძელდეს ერთი თვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე

2-7702/19
25-04-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი განისაზღვრა წამყვან კომიტეტად საქართველოს პარლამენტის წევრების: მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/236; 01.11.2018).

ინიციატორის მოთხოვნის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დადგენილი განხილვის ვადა გაგრძელდეს 1 თვით.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
რომან კაკულია

2-7201/19
18-04-2019

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

გთხოვთ, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ერთი თვის ვადით გადადოთ ჩემ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ (N07-3/236; 01.11.2018).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მერაბი ქვარაია

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge